საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№07-02/12931 „22" 12 2008

თქვენს №

საქართველოს მთავრობის კანცელარია

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2008 წლის 24 ნოემბერს საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს (საქართველოს მთავრობა) შორის ხელმოწერილი ფინანსური პროტოკოლის განხორციელების მიზნით, საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოქმედ NATIXIS-სა და საქართველოს მთავრობის სახელით მოქმედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის 2008 წლის 16 დეკემბერს ხელი მოეწერა „სასესხო ხელშეკრულებას", ხოლო გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) და საქართველოს (წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროთი, „მსესხებელი") შორის ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის II ფაზის დაფინანსების მიზნით, სასესხო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2008 წლის 19 დეკემბერს.

აღნიშნული ხელშეკრულებები და სათანადო დოკუმენტები ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობაში 2008 წლის 16 დეკემბერის №07-02/12653 და 2008 წლის 19 დეკემბერის №07-02/12829 წერილებით.

ქ. თბილისი 0114, ე. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: info@mof.ge

იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ხელშეკრულება აუცილებლად უნდა იქნას რატიფიცირებული 2008 წელს, ხოლო მთავრობის სხდომა სავარაუდოდ შედგება მიმდინარე კვირის მე-2 ნახევარში, „საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოქმედ NATIXIS-სა და საქართველოს მთავრობის სახელით მოქმედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის 2008 წლის 24 ნოემბერს საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს (საქართველოს მთავრობას) შორის ხელმოწერილი ფინანსური პროტოკოლის განხორციელების მიზნით 2008 წლის 16 დეკემბერს დადებულ „სასესხო ხელშეკრულების" სარატიფიკაციოდ წარდგენის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადების განხილვის შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი და „გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) და საქართველოს ("მსესხებელი") შორის ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის II ფაზის დაფინანსების მიზნით 45,000,000.00 ევროს ოდენობის სასესხო ხელშეკრულების სარატიფიკაციოდ წარდგენის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადების განხილვის შესახებ" საქართველოს განკარგულების პროექტი მთავრობის წევრებთან შეთანხმდა გამოკითხვის წესით (იხ. დანართი).

გთხოვთ, მისცეთ შემდგომი მსვლელობა.

დიმიტრი გვინდაძე

მინისტრის მოადგილე